


მწყმესი



მე ვარ მწყმესი კეთილი: მწყმესმან კეთილმან სული თვისი დაჰსდგის ცნობარათვის. (იოან. 10—11).
 ვბოკე ცნობარი ჩემი წარწემდელი. ესრეთ იყოს სინარული ცთა შინა, ერთსათვის ცოაილ-სა. (ლუკ. 15—4).
 მოველით ჩემად ყოველი მასურალი და ტვირთ-მამიერი და მე განგისენო თქვენ. (მათ. 11—28).


№ 1 1883—1895 1—15 იანვარს.

შინაწბა: 1895 წელიწადი. — ჩენი მოქალაქობა ცთა შინა არს. — მოვა ღვობანი გაცისა. — შესანიშნავი წელნაწერი. — სახალწლო სახუქარი ყმაწვილთათვის. — საეაღდებულო სწავლის შემოღების შესახებ ჩვენს სახელმწიფოში. — ჰედაგოგიის ისტორიიდან. — აზირებული შურის ძიება. — სამინისტრო და საეკლესიო-სამრევლო სკოლები შესახებ ღენსუმის მახარაში. — „მწყმესი“-ს კორრესპონდენცია სოფ. ჯგალიდან. — შესანიშნავი განჩინება. — რედაქციის პასუხი. — მღვდელთათვის საჭირო ცნობანი.

1895 წელიწადი.

ეს მეთორმეტე წელიწადია, ჩვენო პატრიარქალო მკითხველნო, რაც ერთად ვეგებებით ახალს წელს და რაც გულით და სულით ვინატრით სოღმე ბედნიერებას და ვოველს კეთილს ხალხისა და ქვეყნისათვის. დემორთმან ბედნიერი ჰქოს ეს ახალი წელიწადიც ჩვენ ვოველთათვის. შევეკდროთ

დემორთსა, მამანო, ძმანო და მოვეასნო და შეესწროთ მაღლობა უფალს იმ მოწუადე-ბისათვის, რომელსაც მოგვეაღენდა სოღმე წარსულ წელში. ვოკლისა დაბადებულისა შემქმძემდო, ჟამთა და წელთა თვისითა სელმწიფებითა დაჰმსხმელო, აკურთხე დასასწრული და კარდასგლად წლისა ამისა, აკურთხე გვირგვინი ამა წელიწადისა სიტკობებითა შენითა, უფალო! მოგვეტევე, უფალო, ჩვენ უძღურთა და



დავრდომილთა უოველნი შეცოდებანი ნებისთინი და უნებლიეთნი წარსულსა წელსა შინა ჩვენ მიერ ქმნილნი. მოკვანიტე, უფალო, კეთილ-შესავებულობა ჭყარისა, უცოდველობა, სიმართლე და უსუვებით ცხოვრება! განსდევნე ჩვენგან, უფალო, უოველნი სულთა განსმრწენლნი ვნებანი და განმრწენლნი ჩვეულებანი! სული წრფელი განგვიანსლე გვამთა შინა ჩვენთა, უფალო, და განგვამლიერე ჩვენ! გვიანსენ, უფალო, ჩვენ უოვლისაგან ჭირისა, განსაცდელისა, რისხვისა, და იწროებისაგან.

დაცხრე ჩვენ შორის, უფალო, უოველი ბტრობა, უწესოება, ურთიერთ შორის ბრძოლა და უთანსმოება და მოკვანიტე მშვიდობა, მტკიცე და პირუთნელი სიყვარული, კეთილწესიერებითი თანსძობა, სთნობებითი ცხოვრება! დაგვიფარე, უფალო, ხილულთა და უხილავთა მტერთაგან, უცხო თესლთა ზედა მოსვლისაგან და ურთიერთისა ბრძოლისაგან!

მოჭმადლე, უფალო, მწკეპსთა სიწმიდე, სიმართლე და სიყვარული საქმისა კეთილისა. მოანიტე მათ, უფალო, სიმხნე და ძალა ერთგულად და ერთსულად მსახურებისა სამწესოთა თვისთა. მიანიტე, უფალო, მმართველთა სასჯელი და სიძარტლე, უოვლისაგან პირმოთნეობისა და უჯეროდ სასეიდლის მიღებისაგან უკუნ აქციენ ივინი! მოანიტე, უფალო, ვრსა მშვიდობა და მუდროება, კეთილ-წარმატება და კეთილ-დღეობა! გვედრებით, უოვლად მოწუბალო მეუფეო, ისმინე მოწულებით და მსწრაფლ შეგვიწუბავენ!...

ჩვენი მოქალაქობა ცათა შინა არს.

(ფილიპ, 3, 22).

სასიხარულოდ და სამად მივაჩინია ყველას დღევანდლო დღე. კაცს და ქალს, მცოვანს და ქაუჯს, ერთგვარად გადავიყურია გულდამ საყოველღეო ვარში ნიალი და, პირმოძიძარნი, გულმთაირულად ულოცვთ ნათესავეს, ნაცნობებს და მუზობლებს ახალი წელს შეგვიტებს. საბუთოცა გვექს გულთა განხსისა და სიხარულისა: დეთს სახერგებამ მოკვანიტა წარსულ წელში მზავლი მოწყალებისნი, ავეშარა თვედამ ათასგვარი განსაცდელი, დავეტრევა ჩვენ და ჩვენი მაყუანნი ჯან-მითელად და დღს, ახალი წლია მუგებთ, საკლავიოდ გვიჩქმელებს, გაგვიერცობს იგი სიცოცხლეს და ვინ ეწევა, რომ ღვთისაგან მიიჩებულთა კოვად ყოფიან, სიცოცხლე და, უნებლობა არ მიჩნდეს ძვირფაად, გასახარელოდ და სასურველოდ!

დაღ, შეუძლებელია სიხარულით არ მიულოცოთ ერთმანეთს ახალი წელი. მაგრა არა საზიხარულო, არა სასი. მიღნე და საწუგეშოა, ძვირფანო მსმენელნი, ის გარეგნება, რომ მომეტებულ ნაწილს ჩვენგანს არ ესმის, რა ახრითა აქეს დანიანა მინიჭებული ქვეყნიური სიცოცხლე; ბევრს ჩვენგანს ვერ შეუგნია სიცოცხლის ნამდვილი დანიშნულება, ქეშმარტი მიზანი და ამის გამო ეერცაა მიმხედარი, რა უნდა შეადგენდეს იმისი მცოდინეობის და დაუტხრომელი მისწრაფების განსაკუთრებით საგანს რა უნდა მიანდეს მას სიცოცხლეში მართლა სასურველოდ, სანატრელოდ და საწაღელად. „ღმერთმა დაგასწაროს მრაველ ახალ წელს, მოგცეს ჯანის სიმართლე, გულის მზიარულობა, მოკეთეთა კარვად ყოფნა, ქონებისა დოვლათი, გაშოროს სიმწარე, გაპირება“ და სხ. — აი რა ნატერა-სურვილითა ვართ დღეს ყველანი გატაცებულნი, აი რის მიღებასა ვთხოვთ დღეს ღმერთსა ჩვენთვის და სხვებისთვის, აი რაზეა მიტყული დღეს უმთავრესი ჩვენი ყურადღება, რა მიგვანიია ქეშმარტად სანატრელოდ და უმაღლეს ბედნიერებად. აზრი, ნატერა და საწადელი შეუკეთებაგლავს მხოლოდ ქვეყნიური ბედნიერების, კეთილ-დღეობის და უნებლობის სურვილითა, ენატრულობთ მხოლოდ წუთი სოფელში ხანგრძლივ

*) იოჰანა ამა 1895 წ. იანვრის პირველ დღეს სირსის მონასტრის ტაძარში.



ყოფნას და ბედნიერებას თითქო და მართლა ამს-
თვის, მხოლოდ ამისთვის, — ეყოთ გაჩენილი ქვე-
ყანაზე, თითქო ყველა ეს შეადგენდეს ჩენი ცხოვ-
რების უმთავრეს მიზანს და ამის გარეშე აღარა-
მოიპოვება-რა სხვა სანატრელი, სხვა სასურველი,
თითქო და მართლა მარტო დოვლათის შექმნას,
ჯანია სიმართლეს და უჭირველობას უნდა ელტო-
დეს ადამიანი, მხოლოდ ამაზე ზრუნავდეს და ამაზე
დღეობდეს იგი თავის სიცოცხლეში!

არა, ადამიანი რომ მარტო ქვეყნიური ცხოვე-
ლისთვის იყოს დაბადებული, იმ ცხოვერებითის,
რომელსაც მისი სურვილის წინააღმდეგ, მისდა დღე-
კითხვად, ერთი თვალის დახამხამებაში აქრობს,
აქარწყლებს და სპაზს უღობველი და შეუზარალ-
ბელი სიკვდილი, გამოტყეხთ უნდა ეთქვას, მაშინ
კაცზე შესაბრალოს, კაც-სთანა საწყალობელი და
ბედნიერებას მოკლებული აღარა იქნებოდა-რა, მაშინ
მხოლოდ საწამებლად, ტანჯვის გასაარყვებლათ
ენებოდა მას მიჩვეული უკეადვი და გონიერი
სული, ამაოდ და უაზრად იქნებოდა იგი აღბეჭდილი
ღვთაების ხატით და მსგავსებით.

ქვეყნიერობას რომ დღეუკრდეთ, აღვლად
დღინახამთ და შეიკვებთ, რომ ერთი არსება არის
გაჩენილი მეორე არსებითა დასახმარებლად, მეორე
არსება — მესამისა და სხ. მავალითად ხმელეთი და
წყალი არიან გაჩენილი იმ აზრით, რომ მათ
არჩინონ და ასაზრდოან უსულო და ცოცხალი
არსებანი; ბაღანი, მარცალი, ხე საზოგადოდ
მცენარეულობა, დანიშნულია შინაურ და გარეულ
ფრინველთა და ოთხფეხთა სარჩენად, ხოლო უკანა-
სკნელების დანიშნულებას შეადგენს კაცის მსახუ-
რება და მისთვის სარგებლობის მოტანა. ასე, ამ
გვარად ყველაფერს აქვს თავისი განსაკუთრებითი
მიზანი, თავისი არსებობის აზრი, და შეგიძლია
ეცოთხოთ, კაცი რიდასთვის არსებობს ქვეყნიერობაზე?
ის ელას, ან რას უნდა ემსახუროს, რომ აასრულოს
თავისი დანიშნულება და შეიძინოს უმაღლესი ბედ-
ნიერება?

კაცი დაბადებულია ღვთისაგან, დაჯილდოვებუ-
ლია მისი ხატებით და მგავსებით და ღმერთთან
კავშირი, ღვთის დიდება, ღვთის მსახურება შეადგენს
ადამიანის ქვეყნიური ცხოვრების აზრს, მისი ქვეყ-
ნაზე არსებობის მიზანს და უმღლეს მოვალეობას.
აღ მაინ, საღმრთო წერილის მოძღვრებით, სსხე

რობს და იყოფება ქვეყნიერობაზე იმ აზრით, რომ
იცნოს, შეიგნოს სიბრძნე, სიმძლავრე და სახიერება
ცისა და ქვეყნის დამბადებელისა, აღიგნოს მისადმი
სრული სიყვარულით, ისწავლოს ანგელოზებრივი
დიდების მეტყველება მისი და, ბოლოს, სათანოებანი,
წმინდა, უმანკო ცხოვრებით განემხადოს ზეციური
მოქალაქობისთვის, ანგელოზთა შორის დასამკედ-
რებლად. ზეცის მოპოება, ანგელოზთა თანამკვიდ-
რობა, — აი რას შესაძენათა გვაქვ, მძებო, მონიქე-
ბული ქვეყნიური სიცოცხლე, აი რას უნდა ეახმა-
რებდეთ ღვთისაგან მონიქეუდ ღვთს, რას უნდა
ველოდეთ, რასა უნდა ენატრობდეთ, რაზე უნდა
ვექირობდეთ და ვზრუნავდეთ მუდამ!

ეს მაღალი და განმახმენვეველი აზრი რომ მუდამ
თვალ წინ გვედგას, ყოველთვის რომ ცოცხლად
გვექონდეს იგი გამოსახული გონებაში და ამასთან
არ ვიფიქვებდეთ, რომ „ჩენი მოქალაქაბა ცათა
შინა არს“ (ფილიპ. მ, 22), რომ „ჩენი არა გვაქვს
აქა საყუფულად ქალაქი, არამედ მეჩესა მას ცაებთ“
(ებრაელ. 13, 14), ე. ი. რომ ჩენი მხოლოდ
მოკლე ხნის სტუმრები ვართ ამ სოფლისა, უფვევლია,
აქაური ცხოვრებაც ძირეულად სასიკეთოდ შეიკვლე-
ბოდა, უფვევლია, მაშინ, მხოლოდ მაშინ, შეაძლო
იქნებოდა ყველასათვის დღევრკელობა, ჯანია სი-
მითელე, მოყვათა წყუელი და ურბესი სიყვარული,
ნაშრომის ბარაქიანობა და დავალითი, სულიერი
შეება და სხვანი სიყვთენი, რომელთა მილოცვით
და ნატვრით სულ ტყუულად და ამაოდ დავმერებით
დღეს. მაშინ, მსგავად სტუმრისა, ანუ მგზავრისა,
რომელიც ერიდება ყველაფერს, რაც კი უქიწებს
მას მოჯუაურებას და ეღობება წინ თავის ბინაზე
ღროით და მშვიდობიანობით მისვლაში, ჩენც
მავრინდებოდით და ავიკოლებდით ყველა იმას,
რაც ეხლა გვიმწარებს სიცოცხლეს და გვიხმობს
ჩენი დანიშნულების მიღწევებს გზას, ე. ი. დღევრ-
ბოდით და მოვეზლიდით სამუდამით სიხარამცეს, სი-
რუეს, შურს, ტრობას, მოკვებლობას და სხვათა სენთა;
მაშინ, მსგავად კეთილ-გონიერი მგზავრისა, რომე-
ლიც იძენს მგზავრობაში მხოლოდ იმას, რაც მის
უადვილებს მგზავრობას და ხელა უწყობს დანიშნულ
ალაგს მარჯვით და ღროით მისვლას, ჩენც აღარ
გავებოდით ათას-ნაირ გამოუსადღვარ საქმეებში და
შევიძნდით მხოლოდ იმას, რასაც შეუძლიან
დაკვახლოროს ჩენი სამუდამო სამყოფელს, ე. ი.



აღიჭურვბოდით ლეთის მეცნიერებით, მაღალი ზნეობით და სათნო ცხოვრებით.

დღევანდელ დღეს მოვალეა ყოველი ქეშმარიტი ქრისტიანი მოსთხოვოს თავის თავს ანგარიში, რამდენად გამოიყენა მან წარსული წელი თავის საზოგადო დაწინაურების მისაღწევად? მოვალეა ყველა დავითნოს თავის თავს: წარსული წლის განმავლობაში მოქმედებდა თუ არა მის გულში და გონებაში ლეთის სიყვარული? მტკიცედ აღვა იგი ქრისტიანობის სწავლის განხორციელების გზას თავის ყოფაცხოვრებაში? კეთილი, ქრისტიანული განწყობილება ჰქონდა მას თავის მშობლებთან, ნათესაებთან და მოყავსებთან? უფთხილდებოდა და იფარავდა იგი წლის განმავლობაში თავის სულს ამაჟობისაგან, შურისა, ანგაზრებისა, სიბოღვისა და მრავალთა სხვათა ცოდვათაგან? ერთი სიტყვით—წინ წამდვარა იგი თუ არა იმ გზაზედ, რომელიც უნდა გაიაროს, რომ მივიღეს თავის საუკეთესო საყოფელ ალავს? ნეტარება და ბედნიერება იმას, ვინც განვილილი წლის ცხოვრების გადათვლიერებით დარწმუნდება, რომ განვილილი წელიწადი არ დაუტარაგავს მას ცუდად, იგი სვდამომა ცხოვრების ნამდვილ გზას, შეუძენია მრავალი სიკეთე და თვალ საჩინო ბიჯიც გადუღვამს თავის ნამდვილ სამშობლოსკენ, ამ გვარი პირებისათვის დღევანდელი დღე ქეშმარიტად ვასახარელი და სასიამოვნოა; ამ გვარ ბედნიერებს თვით ეკლესიის ულოცავს ახალ წელს და ახალ ბედნიერებას. ამ გვარი სიხარულით მოგილოცავთ ჩვენც ახალ წელს და ვისურვებთ „განსჯობითა ცხოვრებითა ჯადოდათ“ (რომ. 6, 4), „ვიღრევე მივიწინეთ ყოველნი ერთობასა სარწმუნოებისასა და მეცნიერებასა ძისა ღვთისასა, მამაკაცად სრულად, საზომად ჰასკისა სავსებისა მის ქრისტესისა“ (ეფესელ, 4, 13). ამინ!

არწმინდრიტი ლეონიდე.



მოვალეობანი კაცისა. *)

(რამოდენიმე რჩევა.)

დიდი მეცადინობა საჭიროა, რომ კაცმა შეისწავლოს პოეზია და მხატვრობა, აგრეთვე დიდი მეცადინეობა საჭიროა, რომ კაცის გულში მტკიცედ ფესვი გაიდგას ძიერმა სიყვარულმა, ანე მისმა მზგავსმა გრძნობამ.

რაც უნდა შენი ახლობელი ნათესავი იყოს კაცი, მინც ვალდებული ხარ დიდის ზრდილობით მოეპურა მასს. დებს კიდევ უფრო მოამტებელი სიყვარულობით ექცეოდე უნდა. მდედრობითი სქესს მოამტებულად მიმადლებული აქვს სიმშვიდე; დვთაებრივი ნიჭი, რომელსაც ისინი უმეტეს შემთხვევაში იმისთვის ხმარობენ, რომ მოარბილონ მშობლების გულბრაზინობა და ჯავრი; პატივიც მათში დედათა ქველ-მოამქმედების სიმშვიდეს და სასიხარულოდ მიიჩნიე მათი განმანათლებელი ზედგავლენა შენს სულსა და გულზე; ქალღი ბუნებით უფრო სუსტი არსებანი არიან, მაგრამ ამავე დროს იგინი ფრიად ნაზნი და მგრძობიარენი არიან და ამიტომ შენ ვალდებული ხარ ანუ გეუო ისინი მათს მწუხარებასა შინა, არასოლდეს არ უნდა გააჯავრო ისინი და ყოველთვის უნდა ადმოუჩინო მათ დრმა პატივისცემა და ჭეშმარიტი სიყვარული.

ვინც ბორბობად და მტრულად ექცევა თავისს დებს, ის ყოველთვის ამგვარივე იქნება საზოგადოდ ეკვლას შესახებ. როცა ოჯახის ეკვლა წვერნი გამსჭვალუღნი არიან ერთი-ერთმანეთის სიყვარულით და მეგობრობით, ამისთანა ოჯახში ადზრდილი კაცი, როცა მას ოჯახობის დატოვება მოუნდება, ამ გვარივე გრძნობით იოეპურობა საზოგადოების სხვა წვერთაც და ექნება დტოლვილება კეთილისადმი, ვინაიდგან ასეთი გრძნობა აღიძრა და განვითარდა მის გულში ოჯახშივე.

*) იხ. ძმწვემსია-ს № 17: 1894 წ.



თავი XIII

მეგობრობა.

შენი ბუნებითი მეგობრები არიან შენი შობილები, ნათესავნი და აგრეთვე მასწავლებელი, რომელთაც შენ უმეტესად პატივს უნდა სცემდე. ამას გარდა ცხადია, რომ შენ მეგობრული დღეობა გეყენება იმ კაცთადმი, რომელნიც დაახლოვებით შენი ნათესავნი არიან და რომელთა კეთილი თვისებანი შენ ჯერ კარგად არც კი გაქვს შეტუბილი.

როდის უნდა მიჰყვე შენ ამ მიწის დეველობას, ან როდის უნდა მოსვო იგი შენს გულში? ამის პასუხი ძლიერ ადვილია. ჩვენ ვაღივებულნი ვართ კეთილის გრძნობით ვეძიებდეთ უოვედ კაცს, მაგრამ ეს კეთილი გრძნობა უნდა შევსცვალოთ მეგობრობად მხოლოდ მათ შესახებ, რომელთაც ჩვენ შევკვიდით გულწრფელად პატივისცემით. მეგობრობა არის ძმური კავშირი და თავის უმაღლეს მნიშვნელობით—იგი არის უმაღლესი იდეალი ძმაობისა. მეგობრობა არის სრული თანხმობა ორს, სამსა, და ძვირად მრავალ პირთა შორის, რომელნიც საჭირონი შეიქნენ ერთმანეთისათვის, რომელთაც ნიჭი აქვსთ ერთმანეთი გაიგონ და ერთ-ერთ-მანეთს დაეხმარონ. მეგობრობა სპობს არა მარტო ცუდი სიტყვის თქმის მიზეზს, არამედ ცუდი აზრის ქონებასაც, მაგრამ ამავე დროს ითხოვს დრმა რწმუნებას.

უველა კავშირთა შორის, ამბობს ცოცხრონი, უკეთილშობილესი და უმტკიცესია ის კავშირი, როცა ქველის-მოქმედნი ცხენი, ერთგვარი მიზიდულობის მექონენი, შევკვირებულნი არიან ურთიერთ შორის მიზიდვით.

ნუ დაამკრებ მეგობრობის წმიდა მნიშვნელობას მათ, რომ შენდაში პირველ შეხვედრილ კაცს უწოდებ შენს მეგობრად.

ნურასოდეს ნუ უწოდებ შენს მეგობრად იმას, ვინც არაფრად არ ავდებს სარწმუნოებას, ვინც არ იცავს თავის კაცურ ღირსებას, ან თავის პირველ მოვალეობად არ მიაჩნის სავსებით უყვარდეს თავის სამშობლო, ვინც პატივის მცველი არ არის თავის დედ-მამისა და ძმებისა,

კიდევ რომ ამისთანა კაცი შესანიშნავი იყოს თავის სიმშენიერით, ქცევით, სრულის ცოდნით და მზად იყოს დიდი რამ საქმეება შესარულოს. მოერიდე ამისთანა კაცთან უოველივე დაახლოვებას, კიდევ რომ ეს კაცი დიდის სიყვარულით გეძიებდეს, მხოლოდ შემარტად ქველ-მოქმედ კაცს აქვს უველა ის თვისებანი, რომელნიც საჭირონი არიან მეგობრისთვის.

სანამ შენ კარგად არ დაწმუნდე რომელიმე კაცის უმაღლეს თვისებებში, მანამდე ნუ დაეგებობრები მას, მხოლოდ ზდილობიანად მოექცე. გულწრფელი დამოკიდებულება მეტის-მეტად საპატიო საგანია და დიდი სიჩქარე ამ საქმეში არის ადრედაღული და მიუტყვებელი განუსჯელობა. ვინც უერთდება ცუდი ზნეობას კაცს, ის თვითონაც ზნეობით ფუჭდება, ანუ ესეც რომ არ მოხდეს, მაინც ცუდი ლაქა ედება მას საზოგადოების თვალში.

მაგრამ ნეტავი იმას, ვინც მონახა ჭეშმარიტი მეგობარი? შეიძლება აქამომდე თავის საკუთარს ძალას მ-ნდობილი, მისი ქველ-მოქმედება, ადვილად შეიძლება დასუსტებულიყო, მაგრამ ეს ქველ-მოქმედება, დღეს ორკედება მეგობრის მაგალითის და გაზნეების მეოხებით. ვინაიდავან თვითონ დირსეულად ვერ აფასებდა თავის-თავს, ხშირად კიდევ ჰკარგავდა სიმამცეს, როგორც კი შენიშნავდა თავის თავში რამე ნაკლებეანებას; საყვარელი კაცის პატივისცემა ამადღებს მას დღეს მის საკუთარს თვალშიაც კი. მის კიდევ რცხენია აქნადეს უველა ის თვისებანი, რომელნიც მისი მეგობრის მიერ მოწონებას იწვევს, იგი კიდევ მომეტებულ ძალას იძენს და მომეტებულად მუშაობს თავისი განვითარების შესახებ, რადგან მას სასიამოვნოდ მიაჩნია, როცა მისი მეგობარი ნიშნავს მის კეთილ თვისებათ; ის მადლობელია მისი ამისათვის და ცდილობს კიდევ უფრო ახალი სიკეთე მოიქმედოს. ამ სახით მეგობრობა ხდება ძლიერ საქალებად, რომლის წყალობით კაცი მადლდება იმ სისრულიმდე რომელზედაც იგი ძლიერ დაშორებული იყო, და რომ მეგობარი არ შეეძინა, შეიძლება ვერც კი მიხეწია ამ სასრულიმდე.



მომეტებულად ნუ ზრუნავ, რომ მეგობრები შეიძინო. უკეთესია სულ არ გვახვედეს მეგობარი, რომ შემდეგში სანანებლად არ გავიხედვს კაცთან ჩქარი დამეგობრება. მაგრამ თუ კი იმპოვი მეგობარს, შეიყვარე იგი წმინდის გუფით.

ეს კეთილშობილი გრძობა უსიკვარის დროიდან მიღებულია უველა ბრძენთაგან და თვით სარწმუნოებისაგან.

სადმართო წერილში ჩვენ ვხედავთ მაღალს და მშვენიერს მაგალითებს მეგობრობისას; «გუელი იონაფანისა შეუერთდა გუფსა და ვითისასა» — «მას უყვარდა იგი, როგორც თავის სული». მაგრამ კიდევ მომეტებულად მეგობრობა ნაკურთხიან ქვეყნის მაცხოვარის ჰქონ. დვთაბერივის გამომხსენელს თავს გუფზე ჰქონ და მიბჯინილი დაძინებული იონანეს თავი, და ჯვარზე თავის საკვდილის წინ მან სთქვა დვთაბერივი სიტყვები, სავსენი წმიდა მეგობრობითა და შვილური სიყვარულით: «დედა კაცო, აჰა ძე შენი! (ყოვლად წმიდა დედას) და ესე დედა შენი!» (მოწაფეს).

მე ვფიქრობ, რომ კაცს არ შეუძლია არსებობა (აქ იგულისხმება ჭეშმარიტი, მაღალი მეგობრობა, რომელიც დამყარებულია ურთიერთ შორის პატივისცემაზე), მეგობრობა საჭიროა კაცისათვის, რომ იგი არ დაემორჩილოს დაბად მისწრაფებათა. მეგობრობა ანიჭებს სულს პოეზიურ სუფის მდგომარეობას, ურთმდისათ მას ძნელათ შეეძლო თავი დაესწია თავმოყვარეობისაკან.

თუ შენ დაუმეობრდი ვისმეს, მამ შენს სულში ადბოჭდე მეგობრობის მოვალეობანიცა. ეს მოვალეობანი მრავალია, ვინაიდან შენა გსურს მიაღწიო იმ მდგომარეობას, რომ მთელი შენი სიცოცხლე დირსეული იყოს შენი მეგობრისა.

ჩვენს ცხოვრებაში, როცა საჭირო ხდება მიმოსვლა ეგლიანი გზით, რათა მოვიპოვოთ ნეტარება, კაცებმა, როგორც მოგზაურებმა, ერთმანეთს უნდა მისცან სელი, რომ თენი არ აუცდეთ ციკაბო გზაზე და მომეტებული მუყითობით განაგრძონ თავის ქვეყნიერი ცხოვრება. აუ კი ბაროტნი კაცნი ერთეუბ ან ერთად,

რომ ერთობთ ჩაიძინონ რაიმე ბოროტი საქმე, კეთილნი კაცნი უფრო არ უნდა დაეხმარონ ერთ-ერთ მანეთს, რათა მომეტებული კეთილი საქმე მოიქმედონ!

თავი XIV

შენი სადმართო მოვალეობა — შენი გონების განათლება იწყება იმ წამიდან, როცა კი შენ ამის გაკეთება შეგიძლია. სწავლის მეოხებით შენ უფრო ადიდებ დმერთს, შეიყვარებ შენს სამშობლოს, შენს მშობლებს და მეგობრებს, ვინც შეიგნო ცხოვრება და ვინაც ბევრი იმოგზავრა, მან კარგად იცის, რომ ველური კაცო უბედური არსებაა ქვეყანაზე; ჩვენ ვხედავთ, რომ გაუნათლებელ კაცსაც შეუძლია კეთილი იყოს, მაგრამ მხოლოდ განათლებულს კაცს შეუძლია იქმნეს ჭეშმარიტი და სრული პატიოსანი.

გადანანაჭული ცოდნა კი მავნებელია ცოდნა, რომელიც სიმაბღღესთან შეერთებულია, ამაღლებს კაცის სულს, — გვაქვებებს მომეტებულად შეიყვაროს დმერთი და მთელი კაცობრობა. უსათუძღლო სწავლა ძლიერ ხშირად იძლევა საშუალო და თავმოყვარე კაცებს, რომელთაც კარგად იციან თავიანთი არარაობა და ამიტომ სიხარულით უერთდებიან მათსავით ქრათეშუტა კაცებს, რომ მათთან ერთად იქონ თავიანთი თავი და აუგონ მათზე უკეთესნი. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ხშირად ზოგიერთნი თავთხენი მჭკვრამეტეშედეგები დასცინიან ნამდვილ ნასწავლ კაცებს და ჭეშმარიტ ბრძენთა; ამის შედეგია, როცა გაუნათლებელი კაცო იმას უფრო აუჯახს, ვინც უველაზე სმადალა ჰყვარის, მაგრამ უველაზე ცოტა კი გაეგება.

(შედეგი იქნება).



წიგნი რედაქციისადმი.

ძვირფასო მამა!

ეს მკორე წიგნი:და, რაც ზეტერბურგის საიმპერატორო საკარო წიგნისდაგემა დაჯიფარ თავისი ფეფაღროს და ზევის განყოფილებაჲს ქართულ ძველ ხელნაწერებს ვათვალიერებ. სწორე ი ბეკეა რამე საინტერესო ხელნაწერები არის ამ წიგნისდაგემა. ამ ხელნაწერებში, სხვათა შორის, მე ენახე ერთი ძველი ხელნაწერი, რომელშიაც ცალკეხილია საღმრთო ისტორიას საქართველოში მეფობის დაარსებამდისინ და შემდეგ ლექსადვე არის მიწოდებული საქართველოს ისტორია. მე ვეფიქრებ, რომ ზევის სამეფოელოებაში ვერც ბეკერი არაან, რომელთაც სასიამოვნოდ მიხანათ ბეკეა მწერლობის ვითხეა და მერე ლექსად თქმულის ამისთვის მკარნიმეკთ ამ ლექსითა თქმულებას თქვენის განუთიასთვის. დაწმუნებული ვარ, რომ ის, ვასაც ძველი მწერლობას ენა ესმის, საიმოვნებით წაიკითხავს, ხოლო ვასაც არ ესმის გარჯად ქართული ენა, ის შეისწავლის მას ამისათვის ნაწერების ვითხეთ... *).

თქვენი და სხვანი:

მ. დამაშვი.

შხანანიშნავი ხელნაწერი.

განმზადებისათვის სოფლისა და შექმნი-სათვის მკორეთა ნათელთა.

ოდეს სული ღმერთთაგარი იქცეოდა ზედა წყალთა, სრულ არისსა შესამკობლად აგან მკურეტლად საღმრთოს თელთა, ყოველთ ცხოველთ, მოზარდ, მკენართ, ბუნებისა მსკემდამ ალთა, და განაგებლად უნაკულთოდ ცათ საქუაროს ხველთ ზღვებ წყალთა.

დიდის საიმოვნებით დაგეგმე დავთ ამ ცალკესილ ისტორიას ზევის გამოცემაში, სრული დარწმუნებული ვარ, რომ იგი სიხალისით იქნება წაიკითხული ყველასაგან.

რედაქტორი.

პირველ ყოვლისა მოიგონა მეორენი ნათელთა, და სუღალ შექმნა ალღ ცეცხლის უხორცონი ზეცის ძალნი, ექუს ექუს ფრთენი სერაფინნი და სერაფიმ მრავალთელნი, და საყდარნი და უფლებანი, ქებად ღმრთისა და უმცხარღნი.

მთავრობა მთავარ ანგელოზთ ძლნი და ხელმწიფებანი, უკმარე მიუწომელნი ანგელოს განწესებანი, რომელთ გარემოს კათედრის აქესთ მდგმარობისა ნებანი, და მათ ტკბილი დაუცხრომელი ჰმუნენის სამოის ქებანი.

ჰკმობენ წმინდა-არს საბაოთ, ღმერთი სამოპით კრთიდა, უფალთ მთავარი ძლიერი ხელმწიფე ზეციერთადა, უცნაურ მიუწომელი მექმ უნიგთთ ნიგითერთადა, და დაუცხრომელად საქები უსიტყვი და სიტყვერთი და მათ მეორეთა ნათელთა ვიტყვი ქნანს არა ხელთა, არავედ შექმნას სიტყეთა, საღმრთოთა მბრძანებელთა,

მოწოდებელი არსებელ საქმითა საკირეველითა, და აღუხებს აშეგებს თვისისა ნათლითა მიმფენელითა.

მის პირველის ნათლისაგან მეორენი ნათლდებანი, გარდასცემენ ერთი ერთსა საფსებას არ აკლებიან, წამის ყოფით ბრძანებასა რასაცა ვის შეხედებთან და კისკინად აღსრულებასა შეტრფობით ცსწრეთებთან.

ღეანან პირველის ვარემო მეორე მწყობრ ნათელნიდა ხმა ტკბილად წმიდა არსობის მეტყველნი მგლოზბელნიდა სამ დასად კრძალვით სამობის დიდებით მაქებელნიდა და თითონი სამ სამ ხარისხად ძეწოლითა მადლოზბელნიდა.

მხოლო მან უწყუს პირველმან მეორეთა მათი ქმნილებით სხვეერბ უცნაურ არს გამოთქმად და მათი მიწოდებით მღობა, ზესთა ძალიას ზილულთა არს იგი შემკობილება და მას მახეობას უპყრია უხსეულთ განწყობილება.

იგივე იგი იგიობს პირველის.ეე წესითა,
 მას მასეგობას არა აკლს უმკიცრეს უნინესითა,
 შყოფი უფემით ყამიდა ხელმწიფობითა ზესითა
 და არს განმგებელი ყოველთა გონების უღრესითა,
 წამისყოფით ჰსკაცეს და ჰმართებს განაგებეს
 არსსა სრულსა,
 ნუ ვინ ჰკონებს მის წინაჲ ვე რაცა ვითა დაფაჯულსა,
 ზღვათა ქვიშათ აღმრიცხველობს, ცას გმწერთ
 მისგან განჯარგულსა,
 და მას ესასობით იგი ღირს-გეყოფს საუქდავოს
 სიხარულსა.

მას წინას:ეე სიტყუასა მოვლდით პირველ
 თქმულცხა:
 ესეთო მარჯველ ჩოგანს არ ემსგავსოთ ყრბობითა
 უსწავლულცხა,
 ყენაჲ არ შეგეცდეს ბურთს ცემაღ ასფადელს
 შემოსრულცხა,
 და შაბაშობის წილ არ მოგვებდეს მისხნა სირცხვილ-
 ქმულცხა,

სულთა ღმერთ სრულთა, ათორთად განბრძნობ-
 ლად გარმოსრულოდა,
 სახედ ცეცხლისა ენათა ნათლად განბრწყინებუ-
 ლოდა,
 შომეც ძალი ზეგარდამო ხელმწიფედ უფლებულთადა,
 და რათა არ ეიქმნე განკითხვის ღღესა მას განძებუ-
 ლოდა.

თქმულ დასაბამად ჰქმნა ღმერთმა ცა და ქვეყანა
 მყელობით
 და შემდგონესა ყოველი სრულად ჰყო უნაკლუ-
 ლობით,
 ზე მნათობთა მათ სიმრავლე, ვინმეცა ჰსენა აღრიც-
 ხულობით,
 და ქვე ერნი ჰაერ კეთილად და ყველ აღცხებუ-
 ლობით.

შეაზენა ყოველი ნიკთნი ღუნაურმან უფლებამან
 მრავალ გეგარად ფეროვან ჰყო, ღმერთ მთაგრობის
 განებებამან
 ეთა სასდლო სიძის სატრფოდ, არა რას ჰყო დეკ-
 ლებამან
 და განაშენა ყოველი არე, კეთილ სუნნელთ
 საესებამან.
 გვირგვინის სახედ შეამკო ცა ეარსკლავით კამ-
 კამებითა,

სხვა ორნი დიდნი მნათობნი ორთა დროთ ზე
 უფლებითა,
 ზოლიაქოთა სიმტკიცით დამყარებ დაფუძნებითა,
 და ევე ქვეყანისა სიერცენი აღესა ტურფებითა.
 ზღვასა დაუღვა საზღვარი, უტოურად დანამყარები,
 ჰქმნა წყაროს თვალნი ქვეყანით საყვარლად
 ნაწან წყარები,
 კვლავ შეენიერად წყალნი და კველ ჩანჩქერდ
 ჩამდნარები
 და შთა, ტყენი, ველნი, ქალაქი მანვე ჰყო
 ნადგინარები.

(შემდეგი იქნება).

სასახლწლო სსჩუქსრი ექსწვილთათვის.

§ 1. შინ: ა) იყავ ყოველთეი აღერსია ნად და
 პატეისცემით მშობლებთან, მეთუშორსეებთან და
 შინს ნათესაებთან და უნკროს ღებსა და ძმებთან
 თავზიანად. ბ) ნუ აწუეინებ მათ და თუ რამე
 გკორდეს, გაუზიარე მათაც. გ) თუ გყავდეს მო-
 სამსახურე, აღერსიანად მოექეცი მას, უნდა გახსოვ-
 დეს ყოველთეის, რომ ის თავის ოჯახში არ
 არის.

§ 2. სკოლაში ყოველთეის: დ) პატეისცემით
 მოგეყრი შენს მასწავლებლებს და აღმწრდებებს.
 ე) არასოდეს არ დაუწყო დანით ჰრა და მეღნი
 ჩხაზეა შგიარდების დასაჯლომ სკამებს. ვ) არ გასე-
 რო წიგნები და არ გააქუქეყანო. ზ) არ მოახდნო
 იეც სექმე, რომ შენი გულესათვის დისახჯოს ეინმე,
 ც) არასოდეს არავის არ დაუძმხო გასახელებელი
 სხელი.

§ 3. თამაშობს დროს: თ) რა თამაშობაც
 არჩიოს უმაჯელესობამ, შენც დასთანშხდი მათ. ი.
 გული არ მოგიერდეს, როდესაც თამაშობაში წააგო
 და ნურც გამამრტყენდები, როდესაც თამაშობაში
 მოგებული ხარ. იბ) ნუ დსკინი, თუ თამაშობაში
 წააგო ვირე. იგ) მტკიცედ დაოცეთ თამაშობის
 წესები.



§ 4. როდესაც სუფრაზე ზიხარ: იმ) სულხეა-
ზას და გაუმაძღრობას ერიღე. იმ) ხმა არ ამოიღო
და ლაპარაკი არ დაიწყო, როდესაც პირი სახე
გაქვს საქლით. იმ) დანთ პირში ლუკმას ნუ ჩაი-
ღებ. იმ) ნიდაყეებით არ დაეჯინო სუფრაზე ან
სტოლზედ.

§ 5. ქუჩაზედ: იმ) სიარულის დროს სხეას არ
შეხალო, შენზედ უმჯროსებს ყოველთვის გზა უყავი.
იმ) სიარულის დროს აქეთ-იქით ნუ იყურები. კ)
:ახლოდეს არ დაუწყო ჯღაბანა, რითაც უნდა იყოს,
კარგს, ჭიჭერებს და ცეცხლებს. კმ) სხეისი ნივთები
არ წაახდინო. კმ) ცხოველებს ნუ ახელებ. კმ) არ
დასცინო მოხუცებულთა, დაშავებულთა და გლა-
ხათა.

§ 6. ყოველთვის და ყოველგან: კლ) ყური
უგდე უმჯროსებს. კარი გაუღე მათ, მიართვი ჯოჯი,
ჭული და სხეფრივაც თავაზობა გაუწიე, საჭიროების
დროს დასაჯდომელი ადგილი უთავაზე; თუ უფროსი
გეხალმეობდეს, პირველად შენ არ გაუშვირო ხელი
მოსოსართმეველ; უფროსების საუბარში ნუ წაჩჩრები.
კმ) ერიღე ცუდს, უშვერი და საგინებელი სიტყვების
წარმოთქმას. კმ) ნურასოდეს ნუ დაიგვიანებ და
აღასრულე მითუცილებლად აღთქმა დადებული, რომ
იქნებო კარგი და კეთილი თვისების. კმ) გიყვარდეს
სუფთაობა და ფაქიზობა. კმ) ცუდს განემორე,
კარგს დაუხბლოდდი და დაუდე ყური. ლ) ისწავლე
ჯანრთელობის დაცვა და ყველაფერზედ მაღლობდე
ღიერთა. *).



* იმ უმაწვილს, რომელიც ამ დარიგებას მტყვიედ და
საცესებით აასრულებს და ამ დარიგების აღსრულებას უმაწვი-
ლის მხრით მუწეშია“-ს რედაქციის წერილობით დაუმოწმებს
მასწავლებელი და ან ეინმე სანდო პირი, რედაქცია საჩუქრად
გაუგზავნის ერთ-ერთ ჩვენ საყვარელ შვირათა დიდს
სურათს.

რედაქტორი.

სავალდებულო სწავლის შემოდების შესახებ ჩვენს სასჯელმწიფოთში.

ვინც ვურნალ-გაზეთებს ყურადღებას აქცევს,
გაგებულნი ექნება, რომ ამ უქანსკნელ დროს აღიზა
კითხვა სავალდებულო სწავლის შემოდების შესახებ
ჩვენში. ბევრს კარგად არა აქვს შეგნებული ჩვენში
ამ სავალდებულო სწავლის მნიშვნელობა. ზოგს
ჰგონია, რომ სავალდებულო სწავლა ის არის,
როდესაც პოლიციის ძალით მასწავლებლის ჯგაფირს
ჰკრებენ გლეხებში და ბატონი ლ—კის მუნჯური
მეტრალით ასწავლიან სასწავლებლებში მოსწავლეებს.
ამ ოცი წლის წინათ სავალდებულო სწავლის შესახებ
თავისი აზრი წარუდგინა ყველა სასწავლო ოლქის
ღირეკტორებმა და ისპექტორებმა უმაღლეს მართე-
ბლობას. ამ ღირეკტორების და ინსპექტორების
მოსაზრებებთაგან შემდგვი დასკვნა გამოჰყავს ერთ
პედაგოგს ბ. კ. კ. სენტ—ილერს:

1) ღირეკტორების და ინსპექტორების უმრ-
გელესობამ აუცილებელ საჭიროებად სცნო შემოდება
სავალდებულო სწავლისა ჰეკრად თუ ცოტად ხსენრძი-
ვის დროს განამკლავაზა.

2) ყველამ ერთნაირად აღიანა საჭიროება ყველ-
გან სკოლების დასრულებას სავალდებულო სწავლის შე-
მოდებაშიდგ, სადრცე ეს შესაძლებელი იქნება.

3) ღირეკტორების აზრით, ამ სკოლების
აშენებისათვის საჭირო ხარჯი ერობისა და სს. ადგი-
ლობრივ თანხადგან უნდა იყოს დაფარული, მაგრამ
ბეგრგან საზინასად დასჭირდება ხარჯის გავება.

4) თუ სწავლა სავალდებულოდ იქნება შემო-
დებულში, მაშინ ეს კალდებულება ერთგვარად უნდა
იყოს დაკანონებული რეგორც ვაჭების, ისე ქალების
შესახებდ.

5) სწავლის დრო ხამს წელიწადზედ მეტი
უნდა იყოს; ღირეკტორთა უმრაველესობამ ის აზრი
წარმოსთქვა, რომ უმაწვილები 7—12 წლამდე უნდა
დადიოდნენ სასწავლებელშია.

6) თითქმის ყველა ღირეკტორმა ის აზრი
წარმოსთქვა, რომ ხალხი ამ საქმეს გულანად მო-
კიდება და მშობლები სისარულით გააკანონან შეილებს
სასწავლებელშია.



წილის ატორია შეიდეგ სავალდებულო სწავლე-
ბის უმთავრესს დანიშნულებას შეესება და შექნისწავს,
რომ

„უმთავრესია დანიშნულება სავალდებულო სწავ-
ლისა ის-კი არ არის, რომ მშობლებს სურვილის
თანხმად ეგუება უმწიკლებს ნება მიეცეს სასწავლებელში
სიარულისა, არაჟღერდის, რომ ჩამოკრთვას მშობლებს
ის უფლება, გატეხონ თუ არ სკოლაში თავისა
შეილება. ამ რეაღ, რუკი ერთსელ და სამუდამოდ
იქნება დაგანონებული სავალდებულო სწავლა. სახელ-
მწიფოთა განათლებას ისეთ სავითედ იფრახს,
რომლის უმწიკლებსაცან განაწარვაც შეუძლებელია
იქნება, ისე როგორც შეუძლებელია სიღრმისა და
ჟანმრთელობის წარმეკვა, რომეღერდის იმ-თ სელუსებელ
საკურებელთა ითვლება. ამასათვის მშობლება მოკალენია
არან არ შენაუარე განათლება მისცენ შეილება, არ
არა და მიკრულ-დაწებოთის სასწავლებლებში ასწავლან.

ასე ესმისთ ეს საკანნი დასაკლებთ ევროპასა და
ამერეიკის სახელმწიფოებსა.

გერმანია, შვეიცარია, ჰოლანდია, ავსტრია და
სკანდინავიის სახელმწიფოთი სავალდებულო სწავლება
დღეი სანია შეიძლება. იტალიამ, ესპანამ, საფრანგეთმა
და პორტუგალიამ რომ დღეი სანია მიჰმაქეს ამათს
მაგალითს. სავალდებულო სწავლა ატრეკვე მიდებულა
ბალკანეთის ნახევარ გუნწულის ძირთლ-მადიდებელს
სახელმწიფოებშიც. მსოფლიდ ბულგასა და ინგლისში
არ არის მიდებული სავალდებულო სწავლების განანი,
თუმცა-კი დაკანონებულა განსხვავებულ რეცხვის სას-
წავლებელთა დაწესება. ასეთივე განკარგულებაა ამერეიკის
ეგუება სახელმწიფოში.

ზედაგოგეიკის ისტორიიდგან.

ქრისტიანობის ზედ-გავფენანი სწავლა-ადზრდის
საქმეზედ.

ზნობით დაცემულს კაცობრიობას მაეელინა
მხსნელად ძე ლეთისა იესო ქრისტე, რომლის სწავლა-
მოძღვრებამ განახლა ყოველის მხრით მისივე და-
ბეებული ცხოვრება. ქრისტიანობამ განახლა
გრძობიერებით აღსავსე სოფელი. ყოველივე,

რაც კი რამ ძვირფასი საუნჯე მოიპოვებოდა ძველის
კაცობრიობის გონების და ზნეობის სალოარში, რაც
კი რამ იყო მაღალი, წმიდა, აღმ-ფრენელი, ყოველივე
ეს ქრისტიანობამ თვის მაღლით მოსილ ფრთით ქვეშ
შეივარა, შეისიხლ-ხორცა და ესრედ გადასცა კაცო-
ბრიობას ახლის სახით. ქრისტიანობა სარწმუნოება
მშეიღობის, თავისუფლების და ქვემარტებისა. მან
დაუხლოვა კაცი ლეთებს, შვირეგ- მიწა ცხს-
თან. ამ ქვემარტების შეგენას მწიშენელობა
აქვს სწავლის აღზრდის საქმეც. წარამართა
შორის თავისთავდ კაცს საპატრო მწიშ-
ენელობა არა ჰქონდა; ის იყო წვერი რომ-
ლიმე წოდებისა, ან ხახელმწიფოისა, ან და საზო-
გადობისა; კაცი როგორც ასეთი წვერი ითვლებოდა
უცხო პრაქტიკულის მიზნების მისაღწეე საშეალებად.
პირიერობა კაცისა იმდენად პატრიცემული იყო,
რამდენადაც კაცი საზოგადო ინტერესებისთვის სა-
სარგებლო იყო; კერძო აღმიანი მხეცვრულად ით-
ვლებოდა საზოგადობისა. ქრისტიანობამ კი აღამა-
ლა კაცის პირიერობა თავის თავდ, საზოგადობის
და მის ინტერესებისაგან დამოუკიდებლოდ. კაცი
ღეთის ხტად და მსგავსად შექმნილია—ამბობს ქრის-
ტიანობა—და ამიტომ მისს სულიერს ბუნებაში
ღმერთი დისიდურებს. მისი მოვალეობაა—შეუერთ-
დეს ლეთებს, შეძლებისა დაგვარად დემსგავსის
მას «იყავით სრულ, ვითარცა სრულ არს მამა ჩემი
ზეცათა» ამცნო იესომ კაცობრიობას და მით უზენა
მას მისაბაძევი უმაღლესი იდეალი ცხოვრებისა და
უუსრულებსი მავალითა სათნობისა. ლეთის წინაშე
ყველანი თანაწორნი არიან: ბატონი და ყმა, უფ-
ალი და მონა, კაცი და ქალი, ურია და ბერძენი,
წინადაცვითილი და წინადაუცვითელი, ყველას მამა
ღმერთი, ყველას სახსნელად განხორციელდა ძე
ღეთისა.

ქრისტიანობის ზედ გავლენით შეიცვალა სწავლა-
აღზრდის საქმეც. ძველს დროში თითოეული ერის
აღზრდას ჰქონდა დიდილობრივი, ეროვნული ხასიათი;
ქრისტიანობამ კი ასეთი აღზრდის ნაცვლად წინ
წამოაყენა აღზრდა, რომლის მიზანი საზოგადოდ
ადამიანობაა. მიბაძეა ქრისტესი, დასრულება მისი
მცნებისა ერთსა და იმავე დროს სავალდებულოა და
შესაძლოა თითოეულის ერის, წოდების და სქესის
წარმომადგენლისთვის. ქრისტიანობრივს ზედაგოგეიკას
მიზნად აქვს—დაუხლოვოს მოსწავლე ლეთებს,



დაზადოს მის სულიერს ბუნებაში ჰარმონიული ერთობა ყოველი ძალებისა და ნიჭიერებისა. ქრისტიანობრივი პედაგოგიკის მოთხოვნილებით, ახალთაობა ისე უნდა იქმნეს აღზრდილი, რომ მისი ჰარმონიობა (МЫШЛЕНИЕ) მუდამ ელტობდეს ჭეშმარიტებას, ნება—სათნოებას და თავისუფლებას, გრძობა—სიყვარულს ღვთისას და კაცისას.

ღვთაებრივი მასწავლებელი იესო ქრისტე, რომლის აღზრდა და ცხოვრება შეიქმნენ დასაბამად და საუფქლად ქრისტიანობრივის პედაგოგიკისა ცხოველი მავალითა იმისი, თუ როგორ უნდა იქმნეს აღზრდილი ახალთაობა, ყრმა იესო დიდს პატივს სცემს ზეციერს ძამას, მაგრამ იმე დროს არ იფიქრებს თავის ხორციელს მშობელს. ის სცოვრობს იოსების ღარიბს ოჯახში, ურალო სოფელს ნაზარეთში, იცეს უბრალო ტანისამოსს, ერთად იოსებთან ემევეა შრომას და ჯაფას, სიღარიბის და სისაწყლის მოთმენას. ის მშობელ დედას და იოსებს ემორჩილება, იგანებს მათა რჩევას. იესო თავს აუყვარებდა არა თუ მარტო თავის დედას, არამედ სასოვადოდ ყოველს კაცს (ლუკა თავი ბ. მუხლი ნბ)—მაგრამ ამასთანავე იესოს ესმოდა თავისი მამაღლი მოწოდება და ამიტომ უყვარდა მას ტაძარი, საუბარი მღვდელ-მთავრებთან, და საღმრთო სჯული (იქვე მუხლი მე)—ღვთის სიყვარულს ის მალა აყენებს მშობლების სიყვარულზედ (იქვე მუხლი მც). მას შეგლოდა მადლი ღვთისა, რომელიც ჰარმონიულად ანეთარებდა მისს კაოპრიულს პირავენობას (იქვე მუხლი ნ: მ და ნბ). მიუხედავად ამისა იესოს არ აფიქვდება თვისი დედა. ის სიკვდილის წინ, საშინელი ტანჯვების ჟამს, ზრუნავს თვისი დედისთვის და აბარებს მასს თვისს მოწაფეს იოანესს.

იესო ქრისტე ხშირად იტყოდა იგავეს თავისს ნწეელის განსაზრებლად. შინარის იგავენისას იღებდა გარე შემორტყმული ბუნებიდან. ხშირად უთითებდა ის მსმენელებს ფრინველებზედ, მცენარეებზედ, და ბუნების სხვა და სხვა მოვლენებზედ. ამით იესომ უჩვენა მასწავლებლებს, რომ ბუნების შესწავლა შვირდებისთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს, მაგრამ ისე კი, რომ საღმრთო სჯულითა შესწავლა მალა იდგეს ბუნების შესწავლაზედ: «მიეცით კეისარისა კეისარს და ღვთისა-ღმერთსა».

იესო ქრისტე ყველაფერს ამოზდა მოფქვრით და გონივრად,—იცილად იმან განსხვავება თვისს

მსმენელთა შორის,—უციეს ხალხს იგავებით ელაზარაკებოდა, თავის მოწაფეებს—პირდაპირ ასწავებდა,—მოწაფეებს ერთბაშად კი არ გადასცა თვისი სწავლა, არამედ თანდათანობის დაცვით: ადვილიდან ძნელზედ გადადიოდა. იესო ქრისტეს ძლიერ უყვარდა ბავშვები და ხალხსაც უტადავებდა მათს სიყვარულს: «ამინ გეტყუთ თქვენ: რამეთუ, რომელმან არა შეიწყნაროს (არ მიიღოს) სასუფეველი ღმრთისა ვითარცა ყრმა, ვერ შევიდეს მას, და შიტიტობდა მათ და დასახმიდა მათ ზედა ხელთა, და აკურთხევდა მათ» (მარკოვისა, 10, 15—16). კიდევ მაცხოვარმა ბრძანა: «რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთაგანი მორწმუნეთა ჩემდა მოძარტ, უშჯობეს არს მისა გამო თუმცა იმა ქედან მისსა წისკელითა კე, ვრთ სადასა დასაქველი, და შთავარდა ზღვასა (იქვე 9, 42) და ამ უკანასკნელს სტყუებში მაცხოვარმა გამოთქვა ისეთი ქეშმარიტება ბავშვების აღზრდის შესახებ, რომელიც ქეკუთხნდათ დაედო ახალს პედაგოგიკას. მართლაც, ბავშვი, ეს მომავალი მოქალაქე კაცობრიობისა, ყოვლად უშეშეო არსებაა,—იმას თავისთავად არ შეუძლია აღზარდოს, თვით ბუნება მისს აღზრდას მიანდობს ჰასაში მოსულ პირებს. ცუდი აღზრდა ბავშვს გახდის ცუდ წევრად ხალხობრიობისა, კეთილი აღზრდა კი, აღზრდა ბავშვის ბუნების თანახმად, მისს გულში განვითარებს კეთილშობილურს გრძობებებს, აღმინაობას და მით გამოაყენს მას სასარგებლო წევრად კაცობრიობისა. იესო ქრისტეს ძლიერ უყვარდა ბავშვები, მათი გულის სიწრფელე, მათი უმანკება სამაგლითოდ მიანდა, იცოდა მათი მნიშვნელობა და ადვილი ცხოვრებაში და ამიტომ მათ დედათ აფასებდა. ძეკლს დროში კი, და განსაკუთრებით ქრისტეს დაბადების წინა წლებში, ბავშვი საცოდავი არსება იყო. უკანონოდ შობილ ბავშვებს რიცხვი არ ჰქონდა,—ბევრს მათგანს ხოცავდნენ დეღები დაბადების დღესივე ბევრი მათგანი, ცოცხლად დარჩენილი, ქუჩის მარწმუნებულად და ან ავაზაკად ხდებოდა, რადან მათს აღზრდაზედ არავინ ზრუნავდა,—ბევრიც საშინელი გარყენილების მორცხვში სტურავდა,—თვით მასწავლებლებიც რყენილდნენ ბავშვებს, ნაცვლად კეთილ-ზნობისა მათ უქ დგებდნენ უზნობასა, თვით აჩვენებდნენ შვირდებს უწყსოების მავალითებას, «აბრკოლებდნენ» მათ, ქრისტეს სტიკეისამებრ. იესომ შეთყვარა ბავშვები, ეს მოძაგლნი წყენი თვისის ეკლესიასა, საეღიდებულად



გაუხადა მშობლებს, მასწავლებლებს და საზოგადოებას ზრუნვა შესახებ მათის ჯგეროვანის განვითარებისა. ვაი, იმათ—თითქო ასე ბრძანებს იესო ქრისტე—ვაი იმათ, ვინც აბრკოლებს ბავშვებს, ვინც ამაზინჯებს მათს ბუნებას, ცუდი ამღვრდელი ისეთი საზიზღარი რამ არის, რომ უყეთესია თვისი თავი თვითვე დაიხრჩოს ზღვის სიღრმეში, ვინაღდან ცუდი აღზრდით ის ჰკლავს ბავშვებს ნამდვილი ადამიანური ცხოვრებისათვის.

ქრისტიანობრივი პედაგოგიკა თხოულობს, რომ ბავშვში განვითარებულ იქმნენ წმიდა და მაღალი გრძნობები ჭეშმარიტებისა, და თავისუფლებისა და სიყვარულისა, დასათურგნველად ქვენა, მიწიერ გრძნობებისა. ამისდა თანახმად ქრისტიანობრივი პედაგოგიკა არ უარს ჰყოფს ხელოვნებას და მეცნიერებას, როგორც ისეთს საგნებს, რომელთაღმი მიწრაფება კაცს აქვს შთანერგული სულიერს ბუნებაში; ის უარს ჰყოფს მხოლოდ მას, რაც წინააღმდეგია სეინდისისა, რაც საშიშია და მავნებელია კაცის ზნეობითი განვითარებისათვის. წარმართთა ფილსოფოსებს კი ევონათ, რომ ქრისტიანობა მტერი იყო სწავლა-განათლებისა, წინსვლისა და განვითარებისა, მაგრამ ასეთი შემედარი აზრი ქრისტიანობრივის სწავლის შესახებ შედეგი იყო შემდეგის გარემოებისა. პირველი მქადავლები ქრისტიანობისა ცდილობდნენ გაეციცხათ ბერი რამ ძველს სწავლა-მოდერებაში, რომ ცოდვით აღსასყე კაცობრიობა აღმოეყვანათ გარყენილების მოარევიდან, რომ ხალხს პირი შეექცია ძველი ცხოვრებისათვის და ახალი სწავლის მოთაყვანე გამხდარიყო. საქორი იყო უარყოფა ძველის აღთქმისა და შეთვისება ახალი აღთქმისა. ძველ ცხოვრებას შეწევულს ხალხს კი ენებოდა ძველი გზის დატოვება და, ვინაიდან ჩვეულება სჯულზედ უტკიცესია, სცილობდა არ მყოლო, გაეციცხა და ცილა დაეწამებია ქრისტიანობრივის სწავლისათვის.

ილ. ფერაქე.

ასირებული შურის მიება.

მკითხველს გვხსოვრება, რომ 1889-ში, როდესაც აკაის ქუთაისის ბანკის დირექტორობა სთხოვეს და მან უარი განაცხადა, მაშინ კრებამ ერთხმად პენსია დაუნიშნა მასს სიცოცხლეში, რასაკვირველია, ისიც არ ექნება დავიწყებულა, თუ რა სისხარულითა და თანაგრძნობით მიეგება მთელი ხალხი ამ კრების განაჩენს, რომელსაც სტამბაჰაც კვერი დაუქრა: არა თუ აქაური გახეთები, რუსეთისა და ზოგან სხვა ქვეყნებისაც, აქედენ და კეთილად იხსენიებდენ ჩვენს ხალხს ამგვარი საქმის გამო. მას უკან აგერ ექცის წელიწადია, ყველა დარწმუნებული ვიყავით, რომ ეს კრების განაჩენი და ხალხის ნება-სურვილი, არა თუ ყოველ წლიურად, თუაუდაც კი სისრულეში მოჰყავდა ბანკის გამგეობას. ეს მით უფრო გვეჯეროდა, რომ ბანკში მოსამსახურენი გერაწმუნებდნენ და ორჯულ გახეთშიაც იყო გამოცხადებულა... თურქე ნუ იტყვი, რომ ეს ყოველივერი ტუთული ყოფილა: ამ სამა თვის წინეთ აი რა გავგონეთ თვით აკაკი-საგან, როდესაც იმას გ. დ. დავიკიბა: «მართალია ერთხელ-ორჯულ მომცეს, მაგრამ ისე კი გამტანჯეს, რომ ნეტავი ბანკის კარგი თვლითაც არ დამენახა! მე ის ფულთი აღარსად არ გამომდგომია, და მტრე კი სრულიად მომიხავეს. ამ სამა წლის წინეთ პეტერ-ბურღში რომ ავთ გაგხდი და წამლის ფულაც არა მქონდა, მაშინ ვთხოვე, რომ წარსული წლის რამელიც მერგებოდა და აგრეთვე მოამეაღისაც ერთად მოეცათ, მაგრამ მათ ორივეზე უარი მითხოეს და სმეტაშიაც არ შემეყვანეს, რომ საზოგადოებას არ გავგო და მოტყუებული დარჩენილიყო, ვითოც მე ვიღებდ და იმ მწულ ფულებს.—მასუკანაც ხან ერთს მიზეზს მეუბნებთან და ხან მეორესა. გახეთში მიტომ ვერ ვამცხადებ ამ გარეგობას, რომ მრცხენია: რას იტყვიან ჩვენს ხალხზე და ან ბანკის კრებასუაჴ ვინ იგუქრებს და ვინ წარმოიდგენს, რომ ე' მხოლოდ რამდენიმე პირის ბრალია, რომელნიც ბანკში მახაზრებენ და ჩემთან პირადობა აქესთო».

ეს რომ სთქვა და დასამტკიცებლად საბუთიც წარმოგიდგინა, სწორედ გაგვიკვირა.—ჩვენ ეს საქმე აქამდი აკაკის ხათრით ვერ გამაჯამცხადეთ, მაგრამ ახლა კი უნდა ვაცნობოთ საზოგადოებას იმ ვაქა-



ტონების თვ-გასულობა და ქვეყნის სტრუქტურის არაფ-
რად ჩაგდება. მით უფრო, რომ ეს საქმე საზოგადოა
და არა კერძო! დღეს აკაცია, ხვალ სხვა იქნება!—
აი ამ დღევანდის, როდესაც საზოგადოებამ ძალა
დააჩანა, რომ ავადმყოფობის დროს აკაციათვის
მიეცათ, რაც ვრცობდა, ზედამხედველმა კომპეტენ-
ცია გააღწყო, რომ მცირე ნაწილი ხვედრი ფულიდან
მიეცათ, მაგრამ ბანკის მმართველობა უარი განაც-
ხადა.—ეს მით უფრო საკვირველია, რომ ზოგჯერ
ბანკის გაშვება თავის თავთ კრებისა და საზოგა-
დოების დაუყოვნებელ ურიცხვს ხოლომე ბანკის ფუ-
ლებს მის სასიამო პირებს.

ღ.



**სამინისტრო და საეკლესიო-სამრევლო სკო-
ლების შესახებ ლეჩხუმის მხარეში.**

წინა წლებში სამინისტროს სკოლები და მათი
მასწავლებლები ლეჩხუმის მხარეში ნიეთეიერის მხრით
ცუდა მდგომარეობაში იყო. მთელს ლეჩხუმის მხ-
რეში არც სკოლისათვის და არც მასწავლებლებისა-
თვის შესაფერის შენობა არ მოიპოვებოდა. კლასებში არ
მოიპოვებოდა საკლასო ნიეთეულობა და სახელომძღ-
ნელო და სასწავლო წიგნები, ადგილობრივი მკვიდრი
გულგრილად ეკიდებოდნენ თავიანთი შვილების
აღზრდის საქმეს. ნაკლებად აზრებდნენ შვილებს
სკოლებში, ადგილობრივი მთავრობაც შესაფერ კუ-
რადღებდას არ აქცევდა სკოლების და მათში მასწავ-
ლებელთა ცუდ მდგომარეობას. მასწავლებელთა ემ-
ლეოდით მცირე ჯამაგირი და იმასაც თავის დროზე
ვერღებულობდნენ საწყობები სოფლის მოხელე პირ-
თაგან. ამის მიუხედავად ბევრი ღირსეული მასწავლებ-
ლები თავს აწებებდნენ თავის თანამდებობას, რაისა
გამო სწავლის საქმე ბრკოლდებოდა სკოლებში.
დღეს, ლეთის მადლით, ამ სკოლების საქმე სულ
სხვა მდგომარეობაშია. ქუთაისის გუბერნიის სახალხო
სკოლების დირექტორი შესაფერ ყურადღებს აქცევს


ლეჩხუმის მხარის სამინისტრო სკოლებს და მათში
მოსამაზურე პირთ. ნაცულად უფარვის შენობათა
ყველგან რიგად სახლებს აშენებდნენ როგორც
სკოლებისათვის, ისე მასწავლებელთათვის. სადაც
თითოთ საზოგადოებამ ვერ შესძლო შესაფერ შე-
ნობათა აგება, იქ თითო დირექტორმა დახმარა თავისი
სამუშაოს სკოლების სახლების ასაგებად და მოსა-
წყობად.

მასწავლებლებს წინაწინა დრომდე მომეტებული ჯამაგი-
რები დაუნიშნეს; მოხდენილ იქნა ჯეროვანი გან-
კარგულება, რომ მასწავლებლებს თავის დრო-
ზედ ეძლეოდნენ ჯამაგირები. ამისათვის მას-
წავლებლების ჯამაგირები ფოსტის ფულთან ერ-
თად იკრებება და იგზავნება ხაზინაში, საიდანაც
დირექტორის განკარგულებით იწერს ამ ფულებს
ლეჩხუმის მხარის, დაბა ლილიანის ნორბალური
სასწავლებლის ზედამხედველი და ურიცხვს ლეჩხუმის
მხარის ყველა სალოლო სკოლების მასწავლებელთ.
დღეს შემდეგ, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ლეჩ-
ხუმის სამინისტრო სკოლები თავიანთ დანიშნულე-
ბას ჯეროვანად შეასრულებენ და მოპუნენ ხალხში
სწავლა-განათლებას. საეკლესიო-სამრევლო სკოლე-
ბი კი ლეჩხუმის მხარეში ძლიერ ცუდას და სამწუ-
ხარო მდგომარეობაშია. მთელს მხარეში მარტო
ორ-სამ ადგილს ვახ.ნ.ს სამრევლო სკოლები, მაგ-
რამ უსაშუალოდისა გამო ერთი კიდეც დაიხურა და
თანაჩენი დღეს თუ ხვალ, უწყველია, დაიხურება.
თუმცა ადგილობრივი ეპარქიის უფროსი ჯეროვანს
ყურადღებს აქცევს საეკლესიო-სამრევლო სკოლე-
ბის გახსნას, მაგრამ რა უნდა ჰქნას მარტო ერთმა
ყურადღებია მაქცევამ, თუ საშუალება არ მო-
იპოვება? საეკლესიო-სამრევლო სკოლების გახსნა,
მათი წარმოება და შენახვა მართებლობამ
ეკლესიის კრებულთ: მღვდლებს, დიაკვნებს და
მედავითნებს დაევალა, მაგრამ მთელს ლეჩხუმის
მხარეში ერთიც არა გვაქვს იმისთანა შეძლებული
საეკლესიო კრებული, რომ ამ საქმეს თავის საშუ-
ალებით გაუძღვეს. მასთან ბევრი არა გვაქვს იმისთანა
პირნი, რომელთაც სკოლებში მასწავლებლობა
გავციწიონ. აი ეს არის უმთავრესი მიზეზი, რომ
ლეჩხუმის მხარეში საეკლესიო-სამრევლო სკოლების
საქმე ცუდად მიდის და თუ უმადლესმა მართებლო-
ბამ განსაუთრებითი ყურადღება არ მაქცეა ლეჩ-
ხუმის სამრევლო სკოლებს მდგომარეობას, ეს სკო-



ლები შესაფერ სარგებლობას ეკრ მოუტანენ ადგილობრით მკვიდრთ. ამიტომ იმედია, უმადლესი მართებლობა განსაკუთრებითს ყურადღებას და ზრუნვას არ მოაკლებს ლეჩხუმის მასრის საეკლესიო-სამხრელო სკოლების საქმეს.

ბლავ. მღვ. ნ. ფრუიკე.



ქორაშსკონფესიონი «მწმმსი»-სა

სოფელ ჟბალიდან.

ზუგდიდის მასრაში დაბა ზუგდიდიდან 40 ვერსის მოშორებით, აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის მხრით მდებარეობს სოფელი ჟბალი. ამ სოფელში მცხოვრებთა რიცხვი იქნება არა ნაკლებ 290 კომლისა; უმეტესი მათგანი მესაკუთრენი და დროებით ვალდებული გლეხები არიან. მთელი ამ სოფლის მდებარეობა წარმოადგენს მთავოაკიან ადგილს, მგერამ ჰერის თვისებათ კი ეს სოფელი მთელი ზუგდიდის მასრის ყველა სოფლებს სჯობია.


რადგან ამ სოფელში მიწა მეტად ნაკლებია მოსახლისთვის, ამიტომ ადგილობრითი მკვიდრნი უმეტესად პირუტყვის მოწენვას და სხვა და სხვა მხარეში სიძიდის თესვას მისდევენ.

ამ სოფელში 290 კომლი იქნება, მაგრამ დღემდის არც ამ სოფელში და არც მთელ საზოგადოებაში არ ყოფილა არც საერო და არც სამხრელო სკოლა, თუმცა აქაურ მცხოვრებთათვის ფრიად საჭირო და სასარგებლოა სკოლა. მე, ჩოგორც ამ სოფლის მკვადრმა და აქაურმა მღვდელმა, განწყობისთანავე მღვდლად, განვიზარახე სამხრელო სკოლის დაარსება, მაგრამ ჩემი სურვილი დღემდე სისრულეში არ იქნა მოყვანილი.

მხლა, დეისი მადლით, და ჩემდამო რწმუნებულნი ეკლესიის კრებულის დახმარებით, დავიარსე სკოლა, და ამ სკოლის მასწავლებლებად სასულიერო მთავრობისაგან დაინიშნენ მელეთენ ძ. შეგვლია და ამავე სოფლის მცხოვრები ერის კაცის შვილი. მ. ჭანგელია. ლპერთმა იწებოს, რომ ამ სკოლის შემ-

წვობით ჩენი სოფლის მკვიდრთა შორის გავრცელებულიყოს უსაქიროესი ჰარეელი დაწყებითი სწავლა და წერა-კითხვა. იმედია, ამ ახლად გახსნილ სკოლას შემწეობას აღმოუჩენენ და ამით შეძლებას მისცემენ გლეხებს, რომ მათმა შვილებმა წერა-კითხვა მიანტისწელონ.

მღვდელი პეტრე კვარაცხელია.




შესანიშნავი განჩინება.

თბლისის ვახუტებში ეკითხულობთ: გუშინ წინ, 22 დეკემბერს, ტფილისის ოლქის სისხლის სამართლის განყოფილებას შემთხვევით მოუხდა 84 წლის ურახლი-ჭუსუნი ოლქის საქმის განწყვა. ამ კაცს ციმბირიდან გამოქცევა ჰქონდა. 1884 წ. ათის წლით მანგებში მუშაობა თუწგვ გადაწყვიტეს ამ ბრალდებულს. დამო მოხუცების გამო ურახ-ჭუსუნის მანგებში მუშაობა არ შეეძლო, ამისათვის ის სემინარიათინის ოლქში გაჰყავნეს, სადაგანც გამოქცეულა. ბრალდებულმა აღიარა, რომ მართალია, ნება-დაურთველად დაშოკედი ჩემს სამშობლოშია, და ამ საქციელს იმითი ამართლებდა, რომ მოხუცების გამო მუშაობა არ შეეძლო და სხუებმა მითხრეს, რომ შემოკედი ტვარკების ციმბირში მოგზაურობის გამო გამოხულ მანიფესტის ძალით, ნება გაქვს სამშობლოში დაბრუნდეო.

სასამართლომ ბრალდებულნი დაწმარეკ სტრა და ორმოცის, როზგის დაკვან და სამის წლით მანგებში სამუშაოდ გაკვანა მიუსჯესა.

გასაოცრია დემოთმინა, ათი წლის წინეთ თუ მოხუცებულობის მიწეზით მუშაობა არ შეეძლო, ათი წლის შემდეგ უფრო გახალგაზრდა და ისიც ორმოცდროზგის დაკვანის შემდეგ შეიძლებს მუშაობას?.





რედაქციის ხასუნი.

თ. თ.—ას. თქვენის აზრით ისე გამოდის, რომ მღვდლის მოკალაობას ვითომ მანტრა წირვა-ლოცვის ხელსულება და ხაი-დუმლოების შესრულება შეადგენდა. ანა, მღვდლის პირ-და-პირთ მოკა-ლუობას ხალხის წყალობა-მოძღვრება; ამისათვის ეს უკანასკნელი მღვდელს მომეტეხულ მხსნულებად ან უნდა ჩეთვალოს.

ბ. მღ. ი. გ. თქვენ იწერებთ: „სატრა ხატები გამოგვიგზავნეთ და ფხივრე შეგვეტყუოთ მათი და ფუფუნ გამოგვიგზავნით“ — რ. ნუ თუ ერთჟერ არ გადგინებდესთ ჩვენ გახეთში დაბეჭდილი განცხადება ამ ხატების ფხივრე შესახებ?

მღ. დ. გუბელიძე. რომელიმე საპატრიო მიზნით გამო ამ წელშიაღ ვერ გამოგვრით გალენდარი, მაგრამ მღვდელთათვის საჭირო გალენდარული ტრაბები გახეთში გვეჭებო მთლად დაბეჭდილი და იქიდან შეიტყობთ. ტაბიკონის წიგნი მოითხოვეთ გამოემტეხლას დაავრის რ. სუნდამისაგან, რომელიც ქუთაისის სასულეო სასწავლებელში აწის მასწავლებლად. კონსისტორიის წესდება დირს რ აბხაზ და გასატყავინდ მოუხდება ერთი აბხაზი.

ბ. ლ. ა. ჟაგრაძე. თქვენგან სომე მანეთა მტრთა შედეგულენოკაში. ლა ჩუნი წიგნების ანგარიში. რა უროთ ამ ფუფუნებს ან უჭრები (პრემია) პირ-და-პირ გამოგვრეგზავნათ

შ. ი. ჟორბენაძე. გამოგიგზავნა თქვენს სასულეზე კარბანდინი და ლოცვანი.

თავ. ქ. ბ. გელაძე. გუფითად მადლობას გიძღვრით თქვენა წრფელი თანაგრძობისათვის. თქვენი წერილი სწორეთ მაჟამოა იმ გულის წელულისთვის, რომელიც სმინად გვინდება ხელმე...

შამბ გ. ტე—ძეს. ღმერთთან სხუებშიდ დაჭაბდრის ის ერთობა და ერთგულება და ჭეშმარიტო

ბ. მ. თაბატაძე. საღმრთო სულელს სასწავლო წიგნი გამოგვიგზავნეთ. გახეთი მთელს 189 წ წელში გამოგვრეგზავნეთ.

ერთსხვეს მამა მეთაგანს. თქვენ იწერებთ და ითხოვთ განმარტება: „მღვდელი რომ შორს ბეჭის მოსახლელად მიიწიონ, მაგრამ ზეთი და მიწინი დაწნეს სახელში ან ეგველისაში, როგორ უნდა მოიქცესო“. აი რას მოგახსენებთ აბაქად: უნდა დაბეჭდეს უკან და დაწინილი ნივთი წილას და თუ ამ დაგვიანებით ბავშვს რამე გაუჭირდა და უნდათვათ კარდელად, მაშინ იგი მადგითის ადგილზედ უნდა ჩამოიფაროს.

იწერებთ კიდევ: „მღვდელი, რომ შესამოსლით კარდელადებულს მიუძღოდეს წინ და მდინარე შესდეს გასაყლი, შეუძლია თუ არა, შესამოსლით შეჭდეს ტყვედ და ისე გავადეს?..“ სწორეთ ასარებული ვითხვას! რა საჭიროა შესამოსლით ტყვედ შეჭდომა, რომ კიდევ შეიძლებაღეს ეს ერთი ვანსოთ, ტყენი წიჭა, ფელონიო სულეტი შეჭრული მღვდელი ხომ დასინობა წელში, რადგან ტყვეს ვერ შეიძლება ვინ არ იცის ის, რომ შემოსილი მღვდელი ტყვეზე არ უნდა იხდეს! ატრთვე ასინებული თქვენი ვითხვა მის შესახებ, შეიძლება თუ არა კარდელადებულს ქუდი ესუროს კელოში წირვისა და წესის ბეჭის დროს. გარდელადებული წესისამებრ შესუდრული უნდა იქონ და არა გამოწეობალი ქუდიოთ, იხადით და გუნდალსოსტავით წმინდულად შეიძლება. გუბოში მღვდარე ვარდელადებულს რა შენი ტანისამოსის ეპინიანსა!..

